სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-02/166

ქ. თბილისი

11 ოქტომბერი 2023 წ.

2023-2024 სასწავლო წლის პირველ (შემოდგომის) სემესტრში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტების ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებზე გადაყვანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის უფროსის თამარ წერეთლის მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2023 წლის 11 ოქტომბრის №01-05-02/24ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. 2023-2024 სასწავლო წლის პირველ (შემოდგომის) სემესტრში ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაზე შეიძლება გადაყვანილ იქნენ შემდეგი კატეგორიის სტუდენტები:
   1.1. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირები;
   1.2. ჯანმრთელობის პრობლემის მქონე, ფეხმძიმე ან მცირეწლოვანი ბავშვის (3 წლამდე) დედები;
   1.3. საქართველოს სახელით ოლიმპიური თამაშების, მსოფლიო, ევროპის ჩემპიონატის და სხვა საერთაშორისო შეჯიბრებების მონაწილეები;
   1.4. სტუ-ს სპორტული ნაკრების წევრები;
   1.5. სტუ-ს შემოქმედებით ან სახელოვნებო წრეში (თეატრი, კაპელა, ქორეოგრაფიული ანსამბლი, კვარტეტი, და ა.შ) გაერთიანებული სტუდენტები;

1.6. საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებულ დაწესებულებებში (პროფილით/სპეციალობით) და სახელმწიფო სტრუქტურებში (მუნიციპალიტეტში, სამინისტროებში და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში) დასაქმებული, სტუ-ის რეკომენდაციით სტაჟირებაზე მყოფნი;

1.7. სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) და ფაკულტეტების საბჭოების წევრ სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები;

1.8. ფაკულტეტის დეკანის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე, სასწავლო პროცესების მართვის სამსახურისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანხმობის საფუძველზე, რექტორის ბრძანებით, პერსონალურად შესაძლებელია სხვა კატეგორიის სტუდენტის გადაყვანა ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაზე.

2. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაზე გადაყვანის მიზნით სტუდენტმა 2023 წლის 17 ოქტომბრიდან 12 ნოემბრის ჩათვლით შესაბამისი ფაკულტეტის მენეჯერის სამსახურში უნდა წარადგინოს განცხადება და სათანადო დოკუმენტაცია:

2.1. ჯანმრთელობის ცნობა - ფორმა №100;

2.2. 3 წლამდე ასაკის ბავშვის დაბადების მოწმობა;

2.3. შესაბამისი ფედერაციის, კლუბის (უმაღლესი ლიგა), სტუდიის უფლებამოსილი პირის შუამდგომლობა ოფიციალურ ბლანკზე, დამოწმებული სველი ბეჭდით და ხელმოწერით;

2.4. ცნობა სამსახურიდან, დამოწმებული სველი ბეჭდით და ხელმოწერით;

2.5. ხელფასის ბოლო 3 სამი თვის ამონაწერი.

3. ფაკულტეტის მენეჯერი უზუნველყოფს სტუდენტის განცხადებისა და სათანადო დოკუმენტაციის მიღებას, რის შემდეგაც მენეჯერის შესაბამისი სამსახურებრივი ბარათი გადაეცემა სტუდენტური სერვისების ცენტრს და შიდა აუდიტის სამსახურს შესამოწმებლად, ხოლო შემდეგ სასწავლო პროცესების მართვის სამსახურს;

4. სასწავლო პროცესების მართვის სამსახური უზრუნველყოფს რექტორის შესაბამისი ბრძანების პროექტის მომზადებას;

5. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**